თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3198077

ნომერი: AR1492332

თარიღი : 03.04.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 13.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ივანე ბერიტაშვილის ქუჩა N21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად მაჩიტიძე პ/ნ 53001012857
- თბილისი ი.ბერიტაშვილის I ჩიხი N 3 ბ. 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1492332 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ქ. თბილისში, ი. ბერიტაშვილის ქ. #21-ში (ს/კ #01.10.18.011.016) მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2014 წლის 27 ნოემბრის #1591966 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ი.

ბერიტაშვილის ქ. #21-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.10.18.011.016) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისავის.

2015 წლის 13 თებერვლის #1732762 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ზემო ვეძისი #123 (ნაკვ. #11/16), შპს. „გეა ინვესტი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.10.18.011.016) I კლასის #1/1, #2/1, #3/1, #4/1 და #5/1 შენობა–ნაგებობების დემონტაჟის შესაძლებლობა.

2015 წლის 11 ივნისის #1949080 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ზემო ვეძისის ქუჩა #123–ში (ნაკვ.#11/16), შპს გეა ინვესტი–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2015 წლის 07 ივლისს #1990167 ბრძანებით გაიცა შენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მომატების საკითხი განხილულ იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2016 წლის 18 თებერვლის #8 სხდომაზე, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 14 მარტის #1-439 ბრძანების საფუძველზე საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2განისაზღვრა 2,1–ით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ი. ბერიტაშვილის ქ. #21-ში (თქვენს მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ ობიექტზე დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (მის: ჟ. შარტავას ქ. #7)